

ვებგვერდი, 08/05/2013
სარეგისტრაციო კოდი
040050000.22.055.016024

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის
ბრძანება №01/282
2013 წლის 2 მაისი ქ. თბილისი**

**„საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების
ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს
ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის
თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის №5 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (№448-რს, 25.03.2013წ.) მეორე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის №5 ბრძანებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, №18, მუხლი 159, 2001წ.) დამტკიცებული დებულების მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან არსებული სათათბიროს გადაწყვეტილებით, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების პროგრამების, ღონისძიებებისა და პროექტების დაფინანსება და ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების ხარჯვის კონტროლი ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა მინისტრი

ლევან ყიფიანი